დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 ნოემბრის N107 სხდომის ოქმით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გარეშე პირთა მოწვევისა და ღონისძიების გამართვის წესი

1. ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გარეშე პირთა მოწვევისა და ღონისძიების გამართვის პირობებსა და ვადებს, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პრესონალისათვის, ასევე სტუდენტებისა და გარეშე პირთათვის;

2. აღნიშნული წესით გათვალისწინებული ღონისძიება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
   2.1 გასამართი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს სასწავლო და კვლევით მიზნებს, ასავე უნივერსიტეტისა და, ზოგადად, მეცნიერების პოპულარიზაციას საზოგადოებაში;
   2.2 დაუშვებელია ისეთი ღონისძიების ჩატარება, რომელიც ეწინააღმდეგება აზრისა და გამოხატვის თავისუფლების, ასევე სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლების პრინციპებს;
   2.3 უნივერსიტეტში დაუშვებელია აკადემიური პროცესის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება და პოლიტიკური აგიტაცია;
   2.4 უნივერსიტეტში დაუშვებელია რელიგიური ინდოქტრინაცია და პროზელიტიზმი;
   2.5 უნივერსიტეტში აკრძალულია ისეთი ღონისძიების ჩატარება, რომელიც არის დისკრიმინაციული და ლახავს რომელიმე პირისა ან ჯგუფის უფლებებს განურჩევლად მისი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.
3. პირმა, რომელსაც სურს უნივერსიტეტში გამართოს ღონისძიება ან მოიწვიოს სტუმარი, განცხადება უნდა დაწეროს რექტორის სახელზე ღონისძიების გამართვამდე არა უგვიანეს 1 (ერთი) კვირით ადრე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზირი 3-5) ან გააგზავნოს განცხადება ელ. ფოსტაზე:info@iliauni.edu.ge;
4. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ღონისძიების შინაარსი/თემატიკა, მოწვეული სტუმრის სახელი და გვარი, რა ტიპის აუდიტორიასა და ფართზე იქნება გათვლილი ღონისძიება, დამსწრეთა სავარაუდო რაოდენობა და განმცხადებლის სრული რეკვიზიტები.